საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება № 01-11/18

28 თებერვალი 2014 წ. **ქ. ბათუმი**

„ სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხულ სპეციალობის მაძიებელთა/რეზიდენტთა მიერ რსუ-ში მოქმედ სარეზიდენტო პროგრამის ფარგლებში თეორიული მოდულების გავლის საფასურის დადგენისა და რსუ-ში მოქმედი სარეზიდენტო პროგრამების ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ–ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2010 წლის 08 ოქტომბრის №127 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე და 24-ე მუხლების, ბსუ-ს წესდების მე-15 მუხლის, ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2010 წლის 1 ოქტომბრის №04 გადაწყვეტილების, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და ბსუ–ს სარეზიდენტო პროგრამების ხელმძღვანელის ვ. ჩანტლაძის 2014 წლის 27 თებერვლის №779 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. „სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხულ სპეციალობის მაძიებელთა/რეზიდენტთა მიერ რსუ-ში მოქმედ სარეზიდენტო პროგრამის ფარგლებში თეორიული მოდულების გავლის საფასურის დადგენისა და რსუ-ში მოქმედი სარეზიდენტო პროგრამების ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ–ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2010 წლის 08 ოქტომბრის №127 ბრძანებით დამტკიცებულ დანართ 2-ში და დანართ 3-ში შეტანილ იქნეს ცვლილება, კერძოდ: დანართი 2-ი <u>საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის რეზიდენტურის პროგრამის საფინანსო უზრუნველყოფის ტარიფი რეზიდენტურის პროგრამა - ,,ორთოპედიული სტომატოლოგია'' და</u> დანართ 3-ი <u>საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის რეზიდენტურის პროგრამის საფინანსო უზრუნველყოფის ტარიფი რეზიდენტურის პროგრამა - ,,თერაპიული სტომატოლოგია''</u> ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.
2. ბრძანება სახელმძღვანელოდ დაეგზავნოს ბსუ–ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს.
3. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი **ედიშერ ჩავლეიშვილი**

ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2014 წლის

28 თებერვალი ბრძ. №01–11/18 დანართი 2

საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის რეზიდენტურის პროგრამის

საფინანსო უზრუნველყოფის ტარიფი

რეზიდენტურის პროგრამა - "ორთოპედიული სტომატოლოგია"

სწავლის ხანგრძლივობა - 15 თვე.

№	პარამეტრები		თანხა	
1	სულ სწავლის საფასური		7500,00ლ	
2	ერთი თვის სწავლის ქირა		500,00 ლ.	
3	პროგრამის ხელმძღვანელის ხელფასი20%		1500, 00ლ.	
4	*კლინიკური მოდულების ხელმძღვანელების ხელფასი*	ორთოპედიული სტომატოლოგიის პროპედევტიკა	1 თვე	210 ლ.
		მოუხსნელი ორთოპედიული კონსტრუქციები	7 თვე	1470,00ლ.
		მოსახსნელი ორთოპედიული კონსტრუქციები	7 თვე	1470,00ლ.
5	*კლინიკის ხარჯები*		*1275ლ.*	
6	უნივერსიტეტის განვითარების ხარჯები		1575 ლ.	

ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 201 წლის

28 თებერვალი ბრძ. №01–11/18 დანართი 3

საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის რეზიდენტურის პროგრამის

საფინანსო უზრუნველყოფის ტარიფი

რეზიდენტურის პროგრამა - "თერაპიული სტომატოლოგია"

სწავლის ხანგრძლივობა - 11 თვე

№	პარამეტრები		თანხა	
1	სულ სწავლის საფასური		5005,00ლ	
2	ერთი თვის სწავლის ქირა		455 ლ.	
3	პროგრამის ხელმძღვანელის ხელფასი		1001.00 ლ.	
4	*კლინიკური მოდულების ხელმძღვანელების ხელფასი*	**მოზრდილთა და ბავშვთა ოპერაციული ოდონტოლოგია და კბილთა რესტავრაცია**	4 თვე	752,00 ლ.
		მოზრდილთა და ბავშვთა ენდოდონტია	4 თვე	752,00 ლ.
		მოზრდილთა და ბავშვთა პაროდონტისა და პირუს ღრუს ლორწოვანი გარსის დაავადებები	3 თვე	564,00ლ.
5	*კლინიკის ხარჯები*		*906,00 ლ*	
6	უნივერსიტეტის განვითარების ხარჯები		1030 ლ.	